

სახალხო კაზეთი

სურათებიანი დამატება

კახეთის № 372.

კვირა, 3 ივლისი 1911 წ.

დამატების № 60



თუზის ძალი, ნახშირით ნახატი კ. ქვეთარაძისა.

მეგობრობა

(დოკა 4 მოქმედებად)

(შემდეგი *)

კოტე. რა ამბავია?!..

კატო. აი ეს საზიზღარი... (ტრიალი წასკდება და მაგიდაზე დაეცემა).

კოტე. (ბაღდაძეს კისკრში ხელს წაჰკლებს და კარებისკენ ისვრის).

ბაღდაძე. (კარებიდან). მალამო, მალამო დაადეთ... ხე-ხე... (გადას).

კოტე. რა მოხდა, კატო?!..

კატო. ჯერ ქირა ითხოვა და მერე... უწმაწური ლაპარაკი დაიწყო...

კოტე. ქალს მაგარი მუშტიც უნდა ედვას დარაჯად, თორემ ბევრი ტურა დანავარდობს დედა-მიწის გულზე!..

კატო. (ტყუპებს იწმენდს და იცინის). აი ჩვენი ფარ-ხმალი!..

კოტე. არაუშავს-რა, კატო!.. თუ ზნეობრივი ძალაც არ მოსდევს, მაშინ-კი მშვილობით!.. რამდენი გამართებს ამ წუწკისა?

კატო. ორი თვისა.

კოტე. გასესხებ, კატო!..

კატო. არა, არა, კოტე!..

კოტე. ქალო, მაგის ვალს ჩემი ვალი არ გირჩევნია?!..

კატო. არა, არა, კოტე... ჩქარა მივიღებ...

კოტე. (გუჯ-მოსუფი). ნე არ მესძის შენი უადგილო მოკრძალებია!.. მაშ მეგობრობა რაღა ყოფილა?!..

კატო. გმადლობ, კოტე!.. თუ დამიგვიანეს...

კოტე. (გაჟაფრებული დადას). რთუ დამიგვიანეს!..

კატო. ეგ რა წიგნები მოგვიტანე?

კოტე. (ბურტყუნით). შენთვის და ელიკოსთვის... (შაუზა). იცი რა, კატო...

კატო. რა?

კოტე. რამდენიმე დღით ბაბოში ვაპირებ წასვლას.

კატო. რა საქმე გამოგიჩნდა?

კოტე. თუმცა ერთ საგანზე აკრძალული გვაქვს ლაპარაკი, მაგრამ...

კატო. (მუდართ). კოტე!..

კოტე. რაც გინდა გასწყრე, გაჩუმება არ შემიძლიან!.. არჩილი საავადმყოფოში წვეს... დაქრილია!..

კატო. დაქრილი?!..

კოტე. ჰო!.. ხომ გახსოვს თავ-გასული ქავთარაძე?!.. იმას რაღაც შეურაცყოფა მიუყენებია არჩილის... ორდელის ცოლისთვის და არჩილს სილა გაურტყავს... იმასაც გულში ტყვიით დაუქრია!..

კატო. გულში?!..

კოტე. ჰო!.. რჩებაო... ეს ამ ორი თვის წინად მომხდარა. არჩილს ორდელის ცოლი გაუგდია გარყვნილობისთვის... (შაუზა). არჩილის ნახვა მინდა... (შაუზა). როგორა გგონია, —უნდა წავიდე, თუ არა?!..

კატო. ეგ შენი საქმეა!

კოტე. მაინც?!..

კატო. სხვა არა იყოს-რა, როგორც ექიმი...

კოტე. როგორც მეგობარი?!..

კატო. არ ვიცი... ეგ შენი საქმეა...

კოტე. წარმოდგენილი ვაქვს, კატო, როგორი უბედურია ეხლა არჩილი?!..

კატო. მაქვს.

კოტე. ჩვენს მეგობრობას, ელიკოს ბედნიერებას გაფიცებ, — ნუ მიწყენ ამ კოთხისთვის: არჩილი მთლად აღარ არსებობს შენთვის?

კატო. კოტე, გავალ აქედან!..

კოტე. კარგი... მაგას თავი დავანებოთ... აი რა მითხარ... (ტყუპებს შუბრისკენ უკრავს). ნოტები და წიგნი უჭირავს).

ელიკო. აა! კოტეც აქა ყოფილა! გამარჯობა!.. რამდენიმე სიამოვნება ერთად... მუსიკის გაკვეთილი კიდევ ვიშოვნე... მერე როგორი მსუქანი!.. საათში სამი მანეთი და ეტლი!.. როგორია, ნათლიმამ?!..

კოტე. ნათლიმამა კი არა ნათლილელა არ გინდა!..

ელიკო. ესე იგი, ნათლია და მაშა—ნათლიაც ხომ მამა!..

კოტე. კარგი!.. ეხლა სთქვი, ვინ უნდა გაატყავო?..

ელიკო. სამ მანეთიანები რომ სამასი წელიწადი აძრო, მაინც ტყავამდის ვერ უწევს!.. არ გაგიგია მდიდარი ზამბახოვი?!.. იმის ქალს უნდა ვასწავლო.

კოტე. ჰოო!.. მაგისთანები თავიანთის არასა ზოგავენ!..

ელიკო. აბა ეხლა მოჰყევ, ქვეყნის ქირისუფალო!.. ზამბახოვზე კრინტი არ დასძრა—მე და ის ეხლა დიდი მეგობრები ვართ!.. იცი, დედი, როცა ეტლს მომართმევენ, ჯერ მე და შენ ვისეირნოთ, მერე გაკვეთილზე წავალ!.. ჩვენი ქოჩისა-კი, ცოტა არ იყოს, შემრცხვა, მაგრამ „კარტოფილის“ ვიწრო ქუჩა ისე ამაყად დავახელებე, ასე გონია, სასახლის ქუჩაზე იყოს ლაპარაკი!.. ხა-ხა!..

კატო. მოიცა, კაქკაქო, —ვინ გიშოვნა გაკვეთილი?

ელიკო. აბა ვინ, თუ არა ჩემი პროფესორი, ჩემი ღმერთი!..

კოტე. ღმერთები თუ როიალზე უბრაზუნებდნენ!..

ელიკო. მაშ რა, ნათლიმამ, —ლობიო?!.. (აჟაფრებს). „გლენ-კაცს ლობიოც არა აქვს და ესენი ოცი წლის განმავლობაში, დღეში ოცი საათი როიალს უბრაზუნებენ“!..

კოტე. ტყუილია, სარეკელ?!..

ელიკო. ნათლიმამ, ყველანი რომ ლობიოს ქოთანს მოუსხდნენ, ხომ ისევე ბლავილს დავიწყებთ პირუტყვი-ბივით!..

კოტე. ხა-ხა!.. ყველანი რომ როიალს მოუსხდნენ?..

ელიკო. ყველა რათა?!.. ზოგი ლობიოს გვაქმევს, თქვენ გაგკურნავთ, მღვდელი გვიქადაგებს და სხვა და სხვა... ჩვენ-კი მუსიკით გაგართობთ, სევდას გადაგიყრით, სულით აგამაღლებთ, —გჩვენებთ, რომ ადამიანური ცხოვრება მარტო მუცლის ბოძზე არა ტრიალებს!..

კოტე. საზოგადოდ ხელოვნების მსახურთ სოციალისტური საკითხები არ გიდგებათ!..

ელიკო. არც საკვირველია!.. (ტყუპები ოცნებით). ჩვენ იქ, იქ დავფრინავთ, მაღლა, ოცნების სამყაროში!.. ეს აუცილებელია ცხოვრების გასაუმჯობესებლად: ჩვენ ზევით ვეწევით, —ლობიო ქვევით!.. ჩვენ ვიკავებთ, რომ ლობიო მთლად ქვანტობში არ ჩაეფლას, —ის კიდევ მიწიერ საზოგადო ცხოვრებას გვაკავშირებს, რომ მთლად არ მოვწყდეთ მას!..

კოტე. კარგი, სულ ნუ დაფქვავ, —ხვალისთვის საფანელი შემოგაკლდება... ეხლა-კი ნახვამდის!..

კატო. განა აღარ შემოვიღი?

კოტე. მართლა!.. დღეს კიდევ ერთი სიამოვნება!.. (ჟაბა და ბიჭუტუს ამოადებს).

ელიკო. (შესტება). განა არა, გული კიდევ რაღაცას მოელოდა!..

კოტე. დღეს წარმოდგენაზე მივიღვართ!..

ელიკო. (შეჯავებს დაუჭკანს და შეაქანავებს). შენ სწორედ... ნათლიმამა ხარ!..

*) იხ. სურათებიანი დამატება № 59.

კატე. (იფინის). ნახვამდის!.. (გაღის).

ელიკო. გელით, გელით!.. (პაუზა). იცი, დედიკო, ხომ მიხარიათ ღღეს წარმოდგენაზე წასვლა, მაგრამ თანაც მაწუხებს კოტეს ასეთი მზრუნველობა ჩვენზე!..

კატე. აბა რა ვქნა, ჩემო კარგო!.. რამდენჯერ მოგვსვლია უსიამოვნება,—კოტეს ძალიანა სწყინს უარი!..

ელიკო. (მოუჭდეპა დედას და მიუკრძაბა). ჩვენ ხომ ლარიბები ვართ, დედიკო, და თანაც ამაყები!.. მოიცა გავათავო სწავლა და მაშინ აღარაფერი არ გაგვიჭირდება... ვასწავლი, კონცერტებს გაემართავ... (კატე აჯერსთ თავზე ხელს უსჯამს). გახეთქებში დიდრონი ასოებით: „კონცერტი ელიკო ლომაურისა“! უშველებელი დარბაზი... ხალხი, ხალხი... გული ღიციმს... გამოვდივარ... უცებ-გრილი—„ვაშა, ვაშა“! აღტაცების ცრემლები შებჯინება თვალებში... თითები მიკანკალებს, მაგრამ გაბედულად ვიღებ პირველ აკორდს... ტანში ერთუანტელმა დამიარა... თმები ამომოძრავდა... მიჩუმდა დარბაზი... ხელები აღარ მითრთის... გულში შემოქმედების ნაკვერჩხალი ღვივდება... ოცნების ბურუსი მახვევს თავის კალთაში... ველარას ვხედავ... (თვალებდახუჭული დედას გუჭუნა მისგუნებული).

კატე. ოცნებამ გატაცება იცის და ნამდვილი ცხოვრებაც არ უნდა გვაიწყებოდეს... აღამიანს საზოგადოდ ის ცხოვრება არ მოეღის, რომელზედაც ის ოცნებობს შინს ხანში!.. ძალიან ნუ გააზვიადებ შენს მომავალ ოცნება-ბედნიერებას, თორემ, შეიძლება, ცხოვრების სანამდვილე ისეთ დროს გადავლობოს გზაზე, რომ შენი ოცნების ყარ-ხმალი ვერაფერ იარაღად გამოგადგეს!.. ცხოვრებისა არ უნდა გვეშინოდეს, მაგრამ ყოველთვის-კი მზად უნდა ვიყვნეთ მასთან საბრძოლველად!..

ელიკო. არა, დედიკო! არც ისეთი თვალე-დახუჭული ვარ!.. მე მხოლოდ ეს, მუსიკა, მიღვიძებს ოცნებას, ისიც ცოტა ხნით... ჩემს არსებობას ერთი ისეთი რამ აკლია, რომელიც ნებას არ მომცემს მთლად შემიპყრას ოცნებამ... დამავიწყოს ცხოვრების ვარაძი!.. ხშირად ისე რაღაც მომებჯინება ყელში, ასე გონია, თვით მუსიკაც ვერ გააქარწყლებს მეთქი ჩემს უიმედობას!..

კატე. რას ამბობ, ელიკო!.. რატომ მე არ ვიცი მაგ საძაგელი მდგომარეობის მიზეზი?!..

ელიკო. კარგად მეც არ მესმის, დედიკო... ასე გონია... (პაუზა).

კატე. რა?

ელიკო. რაღაც... ობლობასა ვგრძნობ... (პაუზა). დედიკო, შენ რატომ არ გიყვარს მამაჩემზე ლაპარაკი?!..

კატე. მიმძიმს... ძნელი მოსაგონებელია...

ელიკო. (უფრო მიუკრძაბა). საწყალი ჩემი დედიკო!.. მე ისე მყავს წარმოდგენილი მამა, რომ შენ ის ძალიან უნდა გყვარებოდა!.. არა, დედიკო?

კატე. ჰო, ჩემო კარგო!..

ელიკო. მე ვერც-კი წარმომიდგენია, როგორ უნდა აიტანოს ქალმა მაგისტანა უბედურობა?!..

კატე. კერპია აღამიანი!.. გარდა ამისა, შენ ლამაზი ნუგეშად!..

ელიკო. პირაღ შენი ბედნიერება?!..

კატე. შენზე გადმოვიდა!.. ბედნიერება ყველასა ჰსურს, ელიკო, თხოულობს, მასხედ უფლება-კი არავისა...

საჭაქეს: განგება მაგის პირობას არავის აღლევს!..

ელიკო. ოხ, დედიკო, ჩვენ რომ ერთი რამ არ გვაკლდეს!..

კატე. ბევრი რამ გვაკლია...

ელიკო. არა,—ერთი!.. (პაუზა). რატომ არა მკითხავ—რა ერთი?!..

კატე. ისევ შენი ოცნება იქნება...

ელიკო. მინც მკითხე!..

კატე. აბა!

ელიკო. მამაჩემს!.. არა, დედიკო?!..

კატე. აკი გითხარ, ოცნება იქნება მეთქი!.. (აღგება).

ელიკო. ხომ ბედნიერები ვიქნებოდით?!..

კატე. ჰო, შეილო!.. სრულებით დამავიწყდა, რომ შენი კაბა მაქვს დასაკერებელი... (მიდის შეკრე ოთახისკენ).

ელიკო. (აღგება. მიუკრძაბებით). იცი, დედი,—ორი პიესა მაქვს საყიდელი...

კატე. რა ღირს?

ელიკო. ორი მანეთი და ექვსი შაური...

კატე. მაგდენი რომ არა მაქვს, ელიკო... არ შეიძლება, ჯერ ერთი იყიდო?!..

ელიკო. რატომ, დედი!..

კატე. (აქედეს ფუღს). აი, იყიდე...

ელიკო. ეხლავე წავალ... (ჭკონის დედას).

კატე. კარგი... მე-კი დაგიჯლანებ... (გაღის შეკრე ოთახში).


ელიკო. (სიუვარულით თავს გაუფლებს). ჩემი დედიკო!.. (ცოტა ხანს განკრებული დგას, შეკრე ჩქარის ნაბიჯათ მივაკრებთან, რომედიც გაიღება და გამჩნდება აჩნდი, გამხდარი, დასნეულებული; ფეხზე ძლივს დგას და ჯოხს ეჭანება).

ელიკო. (გაგვირგებული და განაკრებული). თქვენ?!..

არჩილ. მე ვარ, ელიკო, მე!.. დედა შენ არის?

ელიკო. შენ ვახლავთ... ეხლავე დაუძახებ...

არჩილ. არა, ელიკო, შენ წადი, სადაც მიდიოდი... უმოწმოდ შეხვედრა გვირჩევია...



შიო ჩიტაძე, დღევანდელ პანაშვილის გამო.

ელიკო. მაშ, ნახვამდის!.. (გარბის. კარებიდან ერთი კიდე მახვდავს).

არჩილ. (დგას შუა ოთახში და იქაურაბას ათვალიერებს). ცხოვრების ზვირთებმა ისევ ძველ ნავთსადგურში შემომისროლეს... (შაუზა). დიდი ხნით?!.. (ხაფიქრდება).

(შემოდის კატო, ხელში საკრავი უჭირავს. აჩნდება ვერსადს, იქვე კარებში შედგება და ინსტიქტიური გრძობით აღშფოთებული შესტყპრის).

არჩილ. ვერა მცნობ, კატო?!..

კატო. არჩილ!..

არჩილ. ჰო, არჩილ... მოულოდნელი და ძნელად საცნობი სტუმარია!.. (შაუზა). რაღას ელი, კატო: მიჩვენე კარი და მეც წავალ...

კატო. რა გნებავთ?!..

არჩილ. მომისმინო!.. (შაუზა). თუ ნებას მომცემ, დავსხდეთ, თორემ ფეხები მიკანკალებს...

კატო. (ხელთ მიიწვევს სავარჯისკენ, საკრავს დააგდებს სკამზე და თითონაც ჯდება).

არჩილ. (ჯდება, მიეუბნება და თვალებს სისუსტისაგან ხუჭავს). კატო წყალი დამოვივინე... თავს ბრუ მესხმის... (კატო ჭიქით წყალს მიუტანს, აჩნდება მისვამს). ნუ იფიქრებ, კატო, რომ მოვსულვარ სინანული გიძღვნა და ბოდიში მოგიხვია... უადგილო იქნება ერთიცა და მეორეც!.. არც ამ ათი წლის თავ-გადასავალს მოგიხვია, — შემომხედე და ყველაფერს გაიგებ!.. ჩვენ დავკარგეთ, კატო, ღმერთი — ძველი ალტარის ღმერთი... მეცნიერებამ დაგვირღვია ეს ბავშვური ბედნიერება, — დაგვირღვია და სამაგიერო ნუგეში-კი არ მოგვცა... ჯერ მაინც!.. ჯერ მაინც!.. როგორც პირადული არსებობა, ჩვენა გვრწამს მხოლოდ ეს წუთი-სოფელი... ვცდილობთ ვისარგებლოთ ამ მოკლე სიცოცხლით და შევფაროთ მთელი სიამე!.. სიყვარულის წვენი ყველაზე მწვავე და ნეტარი საზრდოა ჩვენი ბედნიერებისა და მასთან... საშხამავიც!.. ხომ ჰხედავ, სადამდის მიმიყვანა სიყვარულმა, მაგრამ მე მაინც მწამს იგი, როგორც სიცოცხლის მშვენიერება და დედა-აზრი!.. ნაკლები პატივისცემით ვექცევით ამ დიად გრძობას... აი, ჩემი ხომალდიც დაიმსხვრა სიყვარულის კლდეზე და ნამტვრევები ისე ძველ ნავთსადგურში შემორიყა!.. (შაუზა).

კატო. რის იმედით?

არჩილ. თითქმის არაფრისა!..

კატო. მაშ, რათ მოხვედით?!..

არჩილ. შენ არ იცი, კატო, ის გრძობა, როცა აღამიანს მისასვლელი არსადა აქვს?!.. იცის, რომ გააგდებენ, მაგრამ მაინც მივა! უამისობა არ იქნება: კაცს უნდა მისასვლელი სადმე ჰქონდეს!.. (შაუზა). მე-კი... ცოტა იმედიცა მქონდა...

კატო. რისა?

არჩილ. ჩვენი... შეერთებისა...

კატო. (უცხად). ეგ შეუძლებელია!.. (შაუზა). წარსულისთვის მე თქვენ არც გისაყვედურებთ და არც შურს ვიძიებ, მაგრამ ჩვენი შეერთება, შელახული სიყვარულის განახლება შეუძლებელია!..

არჩილ. თუ ჩვენი შეერთებისთვის აუცილებელია სქესობრივი სიყვარული, მაშინ ჩემი გზა ამ კარებში გადის: ეგ გრძობა ფესვებიანად არის მოთხრილი ჩემი გულიდან!.. ქალის სიყვარულს არც ვეძებ და არც შემიძლიან!..

კატო. მაშ, რა მიზანი აქვს თქვენს სურვილს?!..

არჩილ. ვერ მიმხვდარხარ?!.. შეუძლებელია ჩვენი მეგობრობა?!..

კატო. ეგ ხელოვნური შეკოწიწება მოკლებული ბუნებრივ სიმათლეს!..

არჩილ. ეს თქვათ!.. ყვეფილს რომ ქილა გაუტყდება, ნამტვრევებს გადაჰყრიან, თუ შეაკოწიწებენ, რომ მცენარე არ გახმეს?!..

კატო. ჩვენი სიყვარულის მცენარე უკვე გახმა!..

არჩილ. ამ მცენარის ნაყოფი?.. ელიკო?!..

კატო. (აჩქარებით). არა მგონია, რომ ელიკოში მაისი... სურვილი და გრძობა ღვიოდეს... და ესეც რომ იყოს... მე არ შემიძლიან!..

არჩილ. ეგ ხომ წვრილმანი ქალური ამპარტაენობაა!..

კატო. შეიძლება!.. (შაუზა). ელიკოზე რატომ მაშინ არ ფიქრობდით, როცა უფრო ნორჩი და უსუსური იყო?!..

არჩილ. ეგ შურის ძიება არ არის, კატო?!.. ცუდი მაგალითით დასაბუთებული კარგზე უარი გასამართლებლად არ ვამოდგება!..

კატო. მე არც ვიმართლებ თავს...

არჩილ. მაშ... უარი?!.. (შაუზა). იცოდენ, კატო, რომ შენ ისევე იცხოვრებ, როგორც აქამდის... მე ჩემს ოთახში ვიქნები, როგორც ახლო ნაცნობი, მეგობარი სულითგულით და ოჯახში დავიქერ მხოლოდ იმ ადგილს, რომელიც რითიმე გაგიადვილებთ, გაგაუმჯობესებთ ცხოვრებას!.. პირადი სურვილები მე აღარა მაქვს... მე აღარ ვარსებობ... ჩემი ნახევარ-არსებობა მაინც შევწირო ელიკოს და ცოტათი მაინც აუნახლაურა წარსული ვალი!.. (შაუზა). რას იტყვი, კატო?!..

კატო. (უეჭოში ტიჩადი ებჭინება). რა ვქნა, რომ არ შემიძლიან!..

არჩილ. უარი!.. ელიკოს მაგიერადაც?!..

კატო. (ბრაზით). ხომ არა გსურთ ელიკოც წამართვათ?!..

არჩილ. დაშვიდი, კატო!.. შენი და ელიკოს განუშორებლობა რომ საჭიროებდეს ჩემ სიკვდილს, დაუყოვნებლივ შეგწირავდით სიცოცხლეს!.. (აღგება). გიმტკიცებ... მშვიდობით!.. (კარებისკენ მიდის).

კატო. (სასწრაფოთი ტიჩადს ვერ იმაგრებს). არჩილ!..

არჩილ. (დინჯად მობრუნდება). იმასაც დაუფიქრდი, კატო, თუ რა ზნეობრივ ვალსა ჰქისრულობ: ელიკო იმ ხანშია, რომ ამ საკითხში იმასაც უნდა დაეთმოს ხმა!.. (ცოტა წინ მოდგება). შეადარე, კატო: ერთ მხარეს შენი ქალური ამპარტაენობა, — მეორეს, ვინ იცის, იქნება ელიკოს გამოცოცხლება!..

კატო. თქვენ არ იცით, რომ ელიკოს მამა მკვდარი ჰგონია?!.. რა ნაირად იმოქმედებს მასზე თქვენი გაცოცხლება?!..

არჩილ. ექვი არ არის, რომ ძლიერ შეაქანებს მის ნერვებს, მაგრამ ეს მღელვარება მის სიცოცხლის ძარღვს ააძგერებს!..

კატო. დარწმუნებული ხართ მაგაში?!.. როგორც მამა-კი არა, — როგორც პატიოსანი კაცი!..

არჩილ. დარწმუნებული!.. (შაუზა). ჯერ შენი თანხმობა მომეცი, კატო, და მერე ელიკოს მე თითონ მოველაპარაკები... შორიდან დაუწყებ ბაასს და, თუ შევატყე უადგილობა საიდუმლოების მხილებისა, პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ ელიკოს მამა ისევ მკვდარი დარჩება!..

კატო. (შეშფოთებული წამოხტება). მკონი ელიკო მოდის!..

არჩილ. რას იტყვი, კატო?

კატო. (დიდი დეფა ეტუება). კარგი... თუ ელიკო... (ტიჩადი წასქდება და გარბის მეორე ოთახში).

(შემოდის ელიკო).

(შემდევნი იქნება)

მ. ურუჯაძე